# გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთობისა და ძმობის დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 85 (3062)

1966 წ. 1 მაისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



# დროშა გვავალებს!

## დაფასება ძალას გვმატებს

დიდი სიხარული მოგვანიჭა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საქმიანობის ესოდენ მაღალმა შეფასებამ — მეშვიდედ წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დაჯილდოებამ. ამ წარმატებაში ყოველი ჩვენგანის წვლილიც არის. ამიტომ საქართველოს სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა გარჯის დაფასება ყველას, მათ შორის მოჭადრაკეებსაც, ძალას გვმატებს.

ჩემი აზრით, ახლა მთავარია გულდაგულ, მუყაითად მოვემზადოთ დიდი ასპარეზობისთვის — სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის, სადაც ჩვენი ვაჟკაცური სიტყვაც უნდა ვთქვათ.

**ნ. გაფრინდაშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## იმედიანი მერმისი

სპორტულ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისთვის ჩვენმა რესპუბლიკამ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი მიიღო. ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვო ასეთი დიდი ჯილდო, სახუმარო საქმე როდია. ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ფიზკულტურულ კოლექტივებსაც, მათ შორის, თბილისის ტრანსპორტის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის“ ფიზკულტურელებს. შარშან ჩვენს კლუბში 7 სპორტის ოსტატი და 1 საერთაშორისო კლასის ოსტატი მომზადდა. გადაჭარბებით შევასრულეთ თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების გეგმა.

ეს იყო შარშან. ჩვენ არც წელს დავყრით ფარ-ხმალს. ჩვენი სპორტკლუბის ერთ-ერთი უახლოესი და მთავარი ამოცანა ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო კოლექტივების სპარტაკიადაში ღირსეული ადგილის დაკავება გახლავთ.

ერთი სიტყვით, თავდადებით ვიბრძოლებთ და, იმედია, ცალკეულ სახეობებში ჩემპიონობას მოვიპოვებთ, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი I ადგილს ვუმიზნებთ.

სამერმისოდ დიდი გეგმები გვაქვს, თუნდაც, ის, რომ საბოლოოდ გადაწყდეს ჩვენი სპორტული კლუბის აუზის მშენებლობის დაწყების საქმე.

**ა. მირზოევი,**
სპორტკლუბ „სინათლის“ თავმჯდომარის მოადგილე.

## მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ

საპირველმაისო დღესასწაულს ჩვენი საზოგადოების სპორტსმენები გაასკეცებული საზეიმო განწყობილებით ხვდებიან. სასიხარულო კი ნამდვილად გვაქვს: საკავშირო სპორტკავშირმა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ეს ბევრ რამეს გვავალებს და მოგვიწოდებს — მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ.

ახლა მიმდინარეობს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადა. „კოლმეურნის“ წარმომადგენლები დღესდღეობით საერთო გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილზე არიან. პირად შეჯიბრებებში წარმატებით გამოვიდნენ რ. რურუა და ი. სიორიძე (კლასიკური ჭიდაობა), ა. ცხოვრებოვი და ო. კანდელაკი (თავისუფალი ჭიდაობა), ა. ჯეჯელავა (ძალოსნობა), რომლებიც სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ.

ძალა და უნარი არ უნდა დავიშუროთ, რომ დარჩენილ შეჯიბრებებშიც წარმატებით გამოვიდეთ და საპრიზო ადგილი შევინარჩუნოთ.

**ვ. ჟღენტი,**
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## მაისის ზეიმს — სამაისო საჩუქარი!

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ახალი შრომითი გამარჯვებით აღნიშნეს შარშანდელი წელი: სასახელო წარმატებებს მიაღწიეს საქმიანობის ყოველ უბანზე.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციას ჯილდოთი ვერ გააკვირვებ იგი ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა და საპატიო სიგელის ექვსგზის კავალერია და მაინც, ჩვენ, სპორტსმენებმა, ფიზკულტურულმა მუშაკებმა უდიდესი სიხარულითა და კმაყოფილებით მივიღეთ ცნობა მეშვიდედ დაჯილდოების შესახებ.

საქართველო კვლავ მოწინავეთა რიგებშია! რა კარგია, რომ ჩვენ, ქართული სპორტის ჯარისკაცებს, ამაგი დაგვიფასდა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ეს მაღალი ჯილდო ახალი, უფრო რთული და საპატიო ამოცანების წინაშე გვაყენებს. რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენგანი გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებს, რომ გაისად, სამაისოდ, უკვე ტრადიციად ქცეული ჯილდო კვლავ დავიმსახუროთ.

მაისის ზეიმს — სამაისო საჩუქარი!

**ვ. ბალავაძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში.

ალუშტა.

**საათი!**

◆ **სანტ-იაგო**, 30 აპრილი. ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა მატჩში საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ბულგარელები — 83:74. ამ გამარჯვებით სსრ კავშირის ნაკრებმა გაინაღდა სულ ცოტა ბრინჯაოს მედლები მაინც. თუ ბოლო მატჩში იგი მოუგებს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს, მაშინ „ოქროც ჯიბეში ექნება“.

# 1 მაისი

# ასპარეზზე კოლმეურნე ველოსიპედისტები

გერხეულის გზატკეცილზე ოთხ დღეს მიმდინარეობდა აფხაზეთის „კოლმეურნის“ პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების ველოსიპედისტები. თავი ისახელეს გულრიფშელებმა, რომლებმაც გუნდური პირველობა მოიპოვეს. II ადგილი წილად ხვდა სოხუმის რაიონის გუნდს, ხოლო III — გალელ ველოსიპედისტებს.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

✦

ზუგდიდის სტადიონ-იპოდრომზე ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობა ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენები.

25-კილომეტრიან რბოლაში გუნდური I ადგილი დაიკავეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

ვაჟებში ყველას აჯობა ო. ჯაბუამ (ინგირის კოლმეურნეობა), ხოლო ქალებში — ე. ბედრინოვამ (ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობა).

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## [illegible]

✦ **ბათუმი**

ამას წინათ აქ დამთავრდა აჭარის პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში 14 მოშაშე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ოსტატობის კანდიდატმა ა. ტოჩენოვმა. II იყო ი. იაკობაშვილი, ხოლო — III — ა. ამბარცუმიანი.

გ. ფანტურია,
შეჯიბრების მსაჯი.

✦ **თერჯოლა**

„კოლმეურნის“ ფრენბურთელთა აქ გამართულ რაიონულ პირველობაში ყველას აჯობა სოფელ ნახშირღელის სასოფლო-სამეურნეო არტელის გუნდმა.

ლ. ჯიშიაშვილი.



ფოთის ბავშვთა სპორტსკოლაში 12 ჯგუფი მუშაობს. მოსწავლეებისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერად იმეცადინონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სურათზე: ნორჩ კალათბურთელთა წვრთნა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ტურისტულ ბილიკებზე

## [illegible]

### გზა გეიზერების ხეობისაკენ

გეიზერების ხეობა იყო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სიურპრიზი, რაც კაცს კამჩატკამ შესთავაზა.

ახალი მიწების ძიების ეპოქა კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა. ხმელეთი რომ კიდით კიდემდე დაიპყრო, ადამიანმა ახლა ზღვებსა და ოკეანეებს გაუსწორა მზერა. მაგრამ აი, 1941 წელს გეოლოგმა ტატიანა უსტინოვამ პეტროპავლოვსკიდან 500 კმ-ზე გეიზერების ხეობა აღმოაჩინა.

### გემი ჟუპანოვოში მიდის

ტურისტული მარშრუტი თბომავლიდან იწყება. გემი შვიდ საათს მიაპობს წყალს ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ და ღუზას უშვებს. ჟუპანოვო. აქედან ფეხით სავალი იწყება.

პირველი დღე არც ისე იოლია — 18 კმ ხემლიაჩინსკის ცხელ წყაროებამდე. მოგზაურები ჯერ ქვიშიანი ბილიკით მიუყვებიან ისარივით გაწვდილ ნახევარკუნძულს, მერე ტყეში შედიან. სამაგიეროდ, გზის ბოლოს ტურისტებს პირველი ჯილდო ელით — ბუნებრივი ცხელი აბაზანა და ასევე ცხელი ჩანჩქერი.

წყაროებს ორთქლი ასდის. ერთგან წყალს კლდე გამოუხრავს და 60 მეტრის სიმაღლიდან ეშვება. რა ჯობს მის ნაკადში ნებივრობას, — მთელი ტანით გამართული დგახარ და წყალი მძლავრად გიტლაშუნებს მხრებზე.

ამ დიდებული მასაჟისა და საგუბარში ბანაობის მერე აღარც ისე დამქანცველად გეჩვენება ...ალი, 32-კილომეტრიანი გადასასვლელი მდინარე შუმნაიამდე.

### უწყინარი დათვები

ღილით კარვის მდელოსფერ კალთებს ჩრდილები დასთამაშებს. ბრეზენტზე წვეთები ხმაურობს. წვიმს? არა, მოწმენდილია, მზე ანათებს. წვეთები ცვარია, ფოთლებს რომ სწყდება.

პირველი შესვენების მერე ტურისტების გზა კრონოცკის უბის მაღალ ნაპირებზე გადის. ტერფისხიფართე ბილიკი ხშირი ბალახითაა დაფარული, ირგვლივ ყველაფერს კენკრა მოსდებია. აქ შეიძლება უეცრად დათვიც შემოგეყაროს. შორიდანვე იკრავს სუნს, უკანა ტოტებზე შედგება, ნესტოებს დაბერავს, მერე მთელი ტანით, მოუქნელად შებრუნდება და ზანტად მიდის, რომ სანამ დაუპატიჟებელი სტუმრები იქაურობას გაეცლებიან, ბუჩქებში დაიცადოს.

დათვი აქ, კრონოცკის ნაკრძალში, თავადაც თვინიერია და არც ვინმეს უფრთხის. ტურისტები მას საგზურის ღირებულებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად თვლიან.

მესამე გადასასვლელზე გზა მკვეთრად უქცევს ოკეანეს და მაღლა მიემართება. იწყება ალპური სანახებიː ია, ნემსიყურწა, შქერი, შროშანი...

ჩვეულებრივ, ტურისტები მეორედ აქ ჩაიფერხებენ ხოლმე.

### ლაშქრობის მიზანი

მეორე დილით, მთაში ერთი საათის სიარულის შემდეგ ტურისტები გეიზერების ხეობაში შედიან.

თვალსაწიერზე უზარმაზარი, მწვანე და მურა კლდეებით შემოზღუდული ხეობაა. ძირს მდინარე გეიზერნაია მიიკლაკნება. არც ისე ფართო, მაგრამ ძალიან ჩქარია. მისი კალაპოტი ვეება ლოდებით არის ჩახერგილი. ალბათ, წყალდიდობის დროს ჩაიტანა მდინარემ.

ამ „ქვაბში“ ჩასვლა არც ისე ადვილია. თოვლშემორჩენილ ბილიკებს თუ ჩაჰყვები, მკვრივ თოვლზე ფეხის მოკიდება ჭირს და ისღა დაგრჩენია, ნაცადი მთამსვლელური ხერხი გამოიყენო, — ზურგჩანთაზე დაჯდე და ჩასრიალდე.

კაცის სიმაღლე ბალახი მზეზე ნებივრობს, ქარი არ ჰქრის, ყვავილები ისეთ სურნელებას ფენენ, თავბრუ დაგეხვევა.

დროდადრო მთელ ხეობას თეთრი ნისლი ბურავს, — აქ ხომ 20 გეიზერი მოქმედებს. ორთქლი ცივდება, წვეთებად ცვივა და ისევ იცრემლება ზურმუხტოვანი ბალახი პატარა, თბილი ტბების გარშემო. მზის სხივებში ნაირფერად ელავს აყალო, მდინარე ისევ კისრისტეხით გარბის ქვებზე.

### ზუსტი „გრაფიკი“

გეიზერები საკმაოდ მჭიდროდ არიან გაბლაგებული, ასე რომ, შეიძლება ერთ ადგილზე გაჩერდე და მათ უმეტესობას ადევნო თვალი. ამოფრქვევის „გრაფიკი“ მკაცრად სრულდება. გეგონება, ქვესკნელში რაღაც გიგანტური ქურა გაუჩაღებიათ და დროდადრო კვამლს დედამიწაზე აფრქვევსო.

ტროინოი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გეიზერია. სამი ხახა ერთად დაულია და ამოფრქვევისას სამივე გრიფონიდან თავქვე, მდინარისკენ ცხელი წყლის ნაკადებს ისვრის. 8 წუთის შემდეგ გეიზერი ერთბაშად ორსაათნახევრით წყნარდება. ამ დროს შეგიძლია იქ კარტოფილი ან კვერცხი მოხარშო, წვნიანი გაათბო.

იქვე ახლოს კამჩატკის ყველაზე დიდი და დიდებული გეიზერი ველიკანია. მის გრიფონს სამმეტრიანი დიამეტრი აქვს. ამოფრქვევა მძლავრი დგაფუნით იწყება, წყლის სვეტი 30 მეტრის სიმაღლეზე იჭრება, ორთქლის ბოლქვები კი მდუღარეს უსწრებს და 200 მეტრზე ადის. გეიზერი მხოლოდ 2 წუთს ბობოქრობს, რომ მერე ოთხსაათნახევრით ჩაწყნარდეს და მორიგი ამოფრქვევისთვის ძალა მოიკრიბოს.

ყოველი გეიზერის ნაპირები თავისებური მინადუღით, — გეიზერიტ ე ბ ი თ არის მოფარული. ისინი ერთიმეორისგან განსხვავდება: სახარნის გეიზერიტი მართლაც შაქარს ჰგავს ერთი შეხედვით, ჟემჩუჟნისა — მარგალიტს. ვერც ერთი ტურისტი ვერ გაუძლებს ცდუნებას — ამ ხეობიდან ისე ვერ წავა, სახსოვრად გეიზერიტის პატარა ნატეხი მაინც არ წაიღოს.

ხეობიდან გასული მოგზაურები 40-მეტრიან ჩანჩქერთან გაივლიან. იქვე ცხელი წყარო მოჩქეფს. ამ წყაროს წყალში ბანაობა, რომ იტყვიან, მკვდარს მოაბრუნებს.

ამით მთავრდება მოგზაურობა გეიზერების ხეობაში. თუმცა, ტურისტებს კიდევ ერთი ლამაზი სანახაობა ელითː გზად გამყინვარებამდელი დროიდან შემორჩენილი სოჭის კორომი უნდა გაიარონ.

1964 წელს კამჩატკის მარგალიტი ოთხასამდე, 1965 წელს კი 540 ტურისტმა დაათვალიერა.

ი. სოლიანიკი.
(საკდესი).

# ისევ ქუთაისი!

ზესტაფონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა „განთიადის“ მოფარიკავეთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ზესტაფონის, რუსთავისა და წულუკიძის ნაკრები გუნდები.

ქალებში უძლიერესი აღმოჩნდა ქუთაისელი ი. გვენეტაძე. ამ ქალაქის წარმომადგენლებს დარჩათ გუნდური პირველობაც. რაპირისტ ვაჟთა შორის ასევე ქუთაისელმა სპორტსმენმა — ნ. ზვიადაძემ იმარჯვა, გუნდური პირველობა კი აფხაზეთის რაპირისტებს დარჩათ.

ესპადრონისტთა ტურნირში ყველას აჯობა ა. შვანგირაძემ (ქუთაისი). გუნდური პირველობა კვლავ ქუთაისელებმა მოიპოვეს. დაშნით მოფარიკავეთა შორის უძლიერესი ისევ ამ ქალაქის მკვიდრი — ნ. ბრიოხინი იყო. გუნდურ ჩათვლაში „ტრადიცია“ არ დარღვეულა: ისევ ქუთაისი!

უნდა აღინიშნოს, რომ ფარიკაობაში ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრება ზესტაფონში პირველად ჩატარდა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

# გუშინ...

თბილისის საჭადრაკო კლუბში მოეწყო საქართველოს ჩემპიონის წოდებაზე ბუსლაევ — ჯინჯიხაშვილის საჭადრაკო მატჩის IV პარტიის დამთავრება. იგი ყაიმით დასრულდა და საერთო ანგარიშში გახდა 2:2.

# კვლავ განთქმულ




(მოჭიდავეები ბატონყმობის დროს).

ორი წლის წინ „ლელომ“ ცნობები გამოაქვეყნა სახელგანთქმული ფალავნის დ. ხიზამბარელის შესახებ. დადგინდა მისი ვინაობა, ხადაურობა, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები.

ახლახანს მივაკვლიეთ უცნობი მხატვრის სურათს, რომელზეც ხიზამბარელისა და თათრების ფალავან ალლარას ჭიდაობის ეპიზოდია აღბეჭდილი (ეს უკანასკნელი იმ დროს მთელს კავკასიაში განთქმული მოჭიდავე იყო).

სურათი დაცული აღმოჩნდა პატარა წიგნაკში, რომელსაც ეწოდება: „ჩანგური ანუ სალხინო მეჯლისი ტფილისის ძველი და ბოლო დროის სიმღერებისა“.

ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი წყარო, სადაც ხიზამბარელის გარეგნობაა დახასიათებული. მასში ნათქვამია: „საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელსავით კი სახელი არავის გაუთქვამს. ის თითქმის სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო. ჯმუხი, მოკლე-მკლავებიანი, ცოტათი მოხრილი და დათვურად ნაკვთი. ტანზე, სადაც უნდა ხელი მოგევლოთ, იტყოდით, თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორციო“.

ხიზამბარელის სურათს რომ უყურებთ, არ შეიძლება ეს სტრიქონები არ მოგაგონდეთ. მკვრივი, ჩასკვნილი ახალგაზრდა, მართლაც რომ მძიმედ დგას მიწაზე. თავზე თუშური ქუდი ახურავს. სურათს აქვს წარწერა: „ჭიდაობის სცენები ჩვენი ძველი ფალავნის ხიზამბარელის ცხოვრებიდან, მოქმედება ბატონყმობის დროს“ (თბილისი, 1905 წ.).

ამ წიგნაკშივეა დაბეჭდილი ხიზამბარელის ცხოვრებიდან აღებული პატარა სცენა. ეტყობა, იგი სინამდვილეს შეეფერება, ვინაიდან იგივე ამბავი გვხვდება გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს გამოქვეყნებულ ვინმე „ძველი მოჭიდავის“ მოგონებაშიც.

სცენის ავტორი მითითებული არ არის. ჩვენი აზრით, იგი დ. ლაზარევი (დავით ლაზარაშვილი) უნდა იყოს.

ქვემოთ მოგვყავს ამ სცენის შემოკლებული ტექსტი.

ვ. სიდამონიძე.

### სცენა მესამე

(საჭიდაო მოედანი, საღამოხანია, ხალხი ჟივჟივებს: ზოგი თამაშობს, ზოგი ჭიდაობს და ზოგიც მღერის).

პირველი გლეხი: ბატონმა რად დაიგვიანა?

მეორე გლეხი: ალბათ ხიზამბარელი ჯერ არ მოსულა.

მესამე გლეხი: როგორ არ მოსულა, ბატონთან გახლავთ, ცოტათ შექცევიან.

პირველი გლეხი: ეგ არ ეცოდება ბატონსა, ი ვერანას როგორ უნდა დასჭიდოს ყმაწვილი კაცი? ეგე გავიგე, მითომ ეგ ვერანა ისეთი ღონიერიაო, რომ ორ მარილის ქვას ხელში აათამაშებსო, როგორც ბალღმა ბურთი, და მერე ტიტველა უნდა დაეჭიდოს.

მეორე გლეხი: თითონ მოინდომა, ერთი მიჩვენეთ რა შვილიაო.

მესამე გლეხი: თქვენ ხიზამბარელი ი თათარზე ნაკლები ნუ კი გგონიათ, პატარაა, მაგრამ ძაან ხერხიანი ყოჩაღია, აგერ მობრძანდებიან კიდეც.

ხმა: ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა. ხიზამბარელს გაუმარჯოს.

ნიკო: გმადლობთ, გმადლობთ.

(ნიკო, აზნაურები, ხიზამბარელი და ხიზამბარელის ამხანაგები მოვლენ).

ნიკო: ბიჭო, ჯერ არ მოსულა სოფარ-ბეგი?

პირველი გლეხი: არა, ბატონო, როცა ბატონი მობრძანდესო, შემატყობინეთო.

ნიკო: წადით, შეატყობინეთ.

პირველი გლეხი: ეხლავე (მიდის ხიზამბარელისკენ). თუ ი თათარი შემკულია, არც ეს არის ნაკლები,

# მინიატურული ქვეყნის დიდ სარბიელზე

... კაშკაშა წითელ ფონზე თეთრ კიმონოში გამოწყობილ ძიუდოისტთა ფიგურებია გამოკვეთილი. ქვემოთ წარწერაა: ლუქსემბურგი, ევროპის პირველობა, 7-8 მაისი.

ძიუდოისტებმა საასპარეზოდ მსოფლიოს ყველაზე მინიატურული ქვეყანა აირჩიეს. 21 ქვეყნის 150 მოჭიდავე იბრძოლებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. პირველობა ტრადიციულად ხუთ წონით კატეგორიაში ჩატარდება: მსუბუქში (63 კილოგრამამდე), ქვესაშუალოში (70 კგ-მდე), საშუალოში (80 კგ-მდე), ქვემძიმესა (93 კგ-მდე) და მძიმეში. ამას გარდა, ოქროს 1 მედალი გათამაშდება გუნდურ ჩათვლაში.

ჩვენი სამბისტები ძიუდოისტთა ჩემპიონატებში 1962 წლიდან მონაწილეობენ. მას შემდეგ სამბოს გავლენა უძველეს იაპონურ ჭიდაობაზე სულ უფრო მატულობს. ძიუ-დოს ძველი დევიზი: „ძალა არაა, ხერხი — ყველაფერი", წონით კატეგორიებად დაყოფას არ ცნობს. მართალია, მსუბუქი წონის ათლეტებს გიგანტებთან შერკინებას არც დღეს უკრძალავენ, მაგრამ წონის მიხედვით მოჭიდავეთა დანაწილება მაინც საჭირო გახდა. რას იზამ, თანამედროვეობის გავლენას ვერც უძველესი ჭიდაობა გაექცევა.

როგორ ფასდება მეტოქეთა შანსები ევროპის ჩემპიონატის წინ? საბჭოთა ათლეტების მთავარი მეტოქეები ჰოლანდიელები, ფრანგები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტები იქნებიან. ჰოლანდიის გუნდში ბოლო დრომდე გამოდიოდა 113-კილოგრამიანი გიგანტი ა. გეეზინკი — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი და ტოკიოს ოლიმპიადის გმირი. შარშან გეეზინკმა განაცხადა: ჭიდაობას თავს ვანებებო. შეასრულებს თუ არა ჩემპიონი პირობას, ჯერ არ ვიცით. მაგრამ მას რომ საიმედო მემკვიდრე ჰყავს, ცნობილია. 25 წლის ვ. რიუსკა (სიმაღლე 2 მ, წონა 110 კგ) თავის სახელოვან თანამემამულეს გამოცდილებით თუ ჩამოუვარდება. რიუსკას, როგორც ჩანს, მხარს დაუმშვენებენ ძმები იან და პეტერ სნაიდერსები.

სპორტულ წრეებში კარგად იცნობენ ფრანგ ძიუდოისტებსაც. ესენი არიან ევროპის ჩემპიონები ა. ბურო, ჟ. ლებერი, ლ. გროსენი, ჟ. ნორისი. გდრ-ის გუნდში გამოვლენ გამოცდილი ოსტატები გ. ნიმანი და კ. ნიტცი.

საქართველოს ათლეტები ჩვენი ნაკრების მუდმივი წევრები არიან. ევროპის პირველობაში ისინი კვლავ 3 ძიუდოისტით იქნებიან წარმოდგენილი. სსრ კავშირის გუნდი ლუქსემბურგს ასეთი შემადგენლობით ეწვევა: მსუბუქი წონა — მოსკოველი ს. სუსლინი და კიეველი ნ. კოზიცკი, ქვესაშუალო წონა — მოსკოველი ო. სტეპანოვი და ლენინგრადელი ა. ბოგოლიუბოვი, საშუალო წონა — სარატოველი ვ. პოკატაევი და კიშინიოველი გ. კოტიკი, ქვემძიმე წონა — გორელი ა. ქიბროწაშვილი და მოსკოველი ა. იუდინი, მძიმე წონა — თბილისელები — ა. კიკნაძე და ფ. ჩიკვილაძე, აგრეთვე, კიეველი ვ. საუნინი და კიშინიოველი ვ. გუცა. უნდა აღინიშნოს, რომ კოზიცკი, გუცა და კოტიკი ნაკრების დებიუტანტები არიან.

სსრ კავშირის ძიუდოისტთა წინაშე ძნელი ამოცანა დგას: შეინარჩუნონ ჩემპიონობა გუნდურ ჩათვლაში. იმედია, რომ ისინი ჭიდაობის მოყვარულთა იმედებს არ გააწბილებენ.

მოსკოვი.

ვ. ხაჩიძე.
(ჩვენი კორ.).



# ნერვები, ნერვები და კიდევ ნერვები...

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ორთაბრძოლა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მოთამაშეთა ჯანმრთელობაზე; ეს კი თავის მხრივ პატარა როლს როდი ასრულებს ბრძოლის მსვლელობაში. ამიტომ მეტოქეთა ჯანმრთელობის, პირველ ყოვლისა, ფსიქონერვული მდგომარეობის შესწავლას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მიზნით ემსახურება პეტროსიან — სპასკის მატჩს სპორტული ექიმი და ფსიქოლოგიის კათედრის ორი მეცნიერ-თანამშრომელი.

ჩვენ შევხვდით მატჩის ექიმს ალა სიპაჩოვას. მას „ლელოს" მკითხველებიც იცნობენ. 1964 წლ. ს მიწურულში ალა თბილისში იყო, სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატზე. წლეულს კი სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის მონაწილეებს „მკურნალობდა".

— სხვათა შორის, ვაჟთა ჩემპიონატის დღეებში საინტერესო დაკვირვებები ვაწარმოე. მალე მათ ცალკე ბროშურად გამოვცემ, — ამბობს ლვაწლმოსილი ექიმი. — ცხადია, განზოგადებული მეცნიერული დაკვირვებანი ყველა მოჭადრაკეს გამოადგება. ჩვენში მსოფლიო პირველობაზე ვაჟთა 7 და ქალთა 5 მატჩი შედგა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სამედიცინო დაკვირვება არც ერთზე არ ჩატარებულა. არადა, ეს საკითხი უაღრესად საინტერესოა როგორც მედიცინისათვის, ისე ჭადრაკისთვის. ახლა ეს ხარვეზი გამოსწორდა.

... და მატჩის ექიმი მიამბობს, რომ ყოველი პარტიის დაწყებამდე და დამთავრებისას პეტროსიანსა და სპასკის უსინჯავს მაჯისცემას, უზომავს წნევას (განსაკუთრებით, პარტიის შემდეგ), ესაუბრება ამა თუ იმ სვლით გამოწვეულ განცდებზე. დიდი ყურადღება ენიჭება კვების საკითხს როგორც პარტიამდე, ისე თამაშის დროს და შემდეგ. დაკვირვებას ახდენენ ფსიქოლოგებიც. მათ აინტერესებთ, მაგალითად, რა უქმნის მეტოქეებს საბრძოლო განწყობას: პეტროსიანს პარტიის წინ კლასიკური მუსიკის (მაგალითად, ჩაიკოვსკის) მოსმენა უყვარს, სპასკის კი — ბალში სეირნობა.

— პირველმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, — განაგრძობს ალა სიპაჩოვა, — რომ სტარტზე ორივე მეტოქე ზედმეტად ღელავდა. მე ამას მათი აჩქარებული მაჯისცემით ვგრძნობდი, ფსიქოლოგები კი ამბობენ, პეტროსიანიცა და სპასკიც ბევრსა და მოუსვენრად დადიოდნენ სცენაზეო. საინტერესოა, რომ პირველ პარტიებში ორივე მეტოქეს უფრო აჩქარებული მაჯისცემა თამაშის დაწყებისას ჰქონდა, მომდევნო პარტიებში კი — თამაშის შემდეგ. ნერვულ სისტემაზე საერთოდ და, კერძოდ, ამ მატჩში უარყოფითი გავლენა აქვს ცაიტნოტს. როგორც იცით, ცაიტნოტი ორივე პარტნიორმა გამოცადა და შეცდომებიც საკმაოდ იყო. დიდოსტატები ამბობენ, სტარტზე ცაიტნოტისგან უფრო პეტროსიანი დაზარალდაო.

— თქვენ, როგორც ექიმი, რით ეხმარებით მოთამაშეებს?

— პეტროსიანი და სპასკი ჯანმრთელი არიან. ისინი საუცხოოდ მოემზადნენ მატჩისთვის. მაგრამ მაინც ვურჩევ მტკიცედ დაიცვან დღის რეჟიმი. ორივენი ღიმილით მპირდებიან, რომ ყოველ მითითებას შეასრულებენ. და ასრულებენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, დიდი იმედი მაქვს, რომ ავად არ გახდებიან. მხოლოდ, ნერვული დაძაბულობის გამო იქნებ შესვენება მოინდომონ (ამის უფლება მათ აქვთ) და არც გასაკვირია. ტყუილად როდი ამბობს ს. ფლორი: „ჭადრაკში ბევრს წყვეტს ნერვები და კიდევ ერთხელ ნერვები!".

მოსკოვი — თბილისი.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ახალი ამბები

● ბუქარესტი, 29 აპრილი. ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა დღეს აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი წააგო ამ საპატიო პრიზის მფლობელთან — ადგილობრივ „რაპიდთან" — 0:3 (9:15, 10:15, 8:15). ამ გუნდების პირველი შეხვედრა მოსკოვშიც რუმინელთა წარმატებით აღინიშნა (3:2), ასე რომ, ცსკა გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი გუნდები „რაპიდი" და „დინამო".

## ნაკრები შედგა

ალუშტა, 30 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრებმა ევროპის პირველობისთვის სამზადისი დაამთავრა. დაკომპლექტდა გუნდი, რომელიც კარლსრუეს (გფრ) ხალიჩაზე გამოვა 6-8 მაისს. ნაკრებში შევიდნენ: ს. სამედოვი, ა. იბრაჰიმოვი, ი. თედეევი, ზ. ბერიაშვილი, ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, შ. ლომიძე, ა. მედვედი.

როგორც ხედავთ, ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად განახლდა. მწვრთნელთა საბჭომ ახალგაზრდა მოჭიდავეებს ს. სამედოვს, ი. თედეევს, ი. შახმურადოვსა და ა. ცხოვრებოვს საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში გამოსვლის საშუალება მისცა. ნაკრების ვეტერანები გ. სალარაძე და ა. ივანიცკი, აგრეთვე ქართველი მოჭიდავეები ტ. ალიბეგაშვილი, ს. ქარსაულიძე და სხვები ხანმოკლე შესვენების შემდეგ მსოფლიო პირველობისათვის სამზადისს შეუდგებიან.

## ლიდერობენ თბილისელები

ქუთაისი. 30 აპრილი (ჩვენი სპეც. კორ.). უაღრესად მწვავე ბრძოლაში გრძელდება საქართველოს მოშაშეთა პირველობა. განვლილ VIII და IX ტურებიდან აღსანიშნავია ლიდერების — ოსტატ თენგიზ ბარამიძისა და ოსტატობის კანდიდატ ი. მოძღვრიშვილის შეხვედრა, რომელიც მძაფრი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. დამარცხების ზღურბლზე იდგა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი თამაზ ბარამიძე ჯ. ციმბალისტთან პარტიაში. მხოლოდ მეტოქის უზუსტობის წყალობით მიაღწია ჩემპიონმა ყაიმს.

IX ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატი თ. ბარამიძე (თბილისი) — 7 ქულა, ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი (თბილისი) — 6,5. ოსტატობის კანდიდატებს თ. ბარამიძესა (თბილისი) და ი. მოძღვრიშვილს (ქუთაისი) 6-6 ქულა აქვთ 8-დან.

ს. საგიევი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## შაში

ვოლგოგრადში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ახლახან დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა კიეველმა სტუდენტმა ლ. პარადიევამ.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. პარადიევა საგნით ვარჯიშისას.

ფოტო გ. შეყილაძისა.

# ხიზამბარელზე

ო, ვენაცვალე შენ მხარ-ბეჭსა.

მეორე გლეხი: სწორედ რომ ეს გვიხახელებს ბატონს აი. ვენაცვალე ი ხიყმეში, რა ჯეირანივით ირხევა.

ნიკო: აბა, ხიზამბარელო, ეხლა გმართებს თავის გამოჩენა, ეხლა გამოჩნდება რა შვილიცა ხარ.

ხიზამბარელი: (ვითომ ხუმრობით) ნუ გეშინიან, ბატონო, ძაან არ დავეჩარცხვები.

ნიკო: მე რაც მითქვამს, ჩემ ნათქვამს არ გადავალ. თუ მასახელებ, ჩემი რაში შენთვის მიჩუქებია.

ხიზამბარელი: გმადლობთ, ბატონო.

ნიკო: სანაძლეო იქნება და რაკაც საფარ-ბეგი წააგებს, ის ჯილდოც შენი იქნება.

ხიზამბარელი: მე არ მინდა მისი ჯილდო,

შენთან მაქვს სათხოვარია,
არც რაში გამომადგება
გულიცა მაქვს დამწვარია.

ნიკო: ყოჩაღ, ბიჭო, მაშ რა გინდა?

ხიზამბარელი: მე ის მინდა, ვინც მე მიჭვალავს,
გული შენ გაინაზარდე:
ჩემი ხატრფო გოგო შანა
ის მე ცოლად გამიხადე.

ნიკო: ადვილი სამსახურია.

ხმა: ხიზამბარელს გაუმარჯოს.

ნიკო: ყოჩაღ, ბიჭო, დიდის ხიამოვნებით აგისრულებთ თხოვნას, თუ მასახელებ.

ხიზამბარელი: გული მამივდეს, ბატონო,
თუ მე ცოცხალი დავმონდე,
ან მამაცად შევაკვდები
ანუ დავასვამ ნიშანსა.

ნიკო: ყოჩაღ, ყოჩაღ, მამწონხარ. მართლა რომ მამაცი ყოფილხარ.

ხმა: მოჰყავთ, მოჰყავთ.

ნიკო: ეხლა კი მოემზადე.

ხიზამბარელი: (იხდის) ჩემს მანას ბედზე უნდა ვიჭიდაო. (საფარ-ბეგი, ალლარა და თათრები მოვლენ და ცალკე დგებიან).

ხიზამბარელი: (გვერდზე შეხედავს) რა კარგი გადმოსატანია.

საფარ-ბეგი: (მიესალმება ნიკოს) ღნიაზ ვალლავარ.

ნიკო: გეგს ვახლავარ. აბა, წულა ვაგვიანებთ. უბრძანე გაიხადოს. (ალლარაზე ანიშნებს).

საფარ-ბეგი: ეენი ფალავანი ზად არიზ, ღნიაზ?

ნიკო: აი, ეს გახლავთ (ხიზამბარელზე ანიშნებს).

საფარ-ბეგი: (დაუჯერებლივ და დაცინვით) ღნიაზ, რას ხუმრობ. ეს ლომ ზოდოა?

ნიკო: რა ვქნა, ყმაწვილო, ახირებულია. თვითონ მოინდომა. მე მაგნაირები მიყვარსო.

საფარ-ბეგი: (ანიშნებს) ალლარ, ეენ როღორ მოღზონს?

ალლარა: (ამუჩად) ბადარაა.

ხმა: გაიზრდება, ახლა შენოდონა სად გიშოვოთ?

საფარ-ბეგი: კარგი, მე ადლაზი არა ვარ. ზანაზლეო რა არის?

ნიკო: ჯერ უბრძანე გაიხადოს და საქმე მაგაზე არ დარჩება.

საფარ-ბეგი: (ანიშნებს ალლარას გახდას).

ალლარა: (იხდის).

ნიკო: ჩემი ჯილდო ეს გახლავთ: ვინც გალახოს, ჩემი საჯდომი რაში იმისია.

საფარ-ბეგი: ჩემი ჯილდო ეს გაღლამთ: ვინზ ღალაღოს, ჩემი ოღროზ ღანჯალი იმიზია.

ხმა: ამინ, ამინ.

ნიკო: (მეზურნეებს) მაშ, დაუკარით საჭიდაო.

საფარ-ბეგი: ჯერ ზღვა ვაკიდაოთ.

ნიკო: დიახ, მინამ გაიხდიან (სხვებს აჭიდავებენ).

ნიკო: ეხლა კი თქვენი ჭაპანწყვეტაა.

საფარ-ბეგი: წაგზევა ძელზეა.

ნიკო: დიახ, წელი მიწას უნდა დასცეს (რა მოემზადებიან, გამოვლენ, ზურნა დაუკრავს საჭიდაოს, მოჭიდავენი ერთმანეთს ეძგერებიან: ხიზამბარელი ძალად მივარდება და უნდა გვერდზე გადმოიტანოს, მაგრამ ვერ გადმოუტანია, მარტო ფეხებს აშვერინებს მაღლა, მერე მივარდება ალლარა და აიყვანს ხელში, უნდა რომ ძირს დააგდოს, მაგრამ ხიზამბარელი ფეხზე დადგება. ალლარა გაოცებული და მკრთალი უკან იწევს. ხიზამბარელი გალომებული მივარდება და კიდევ წამოიკიდებს დაჩოქით ზურგზე და დედამიწაზე ბრაგვანს მოადენინებს იმტაყვირივით, მაშინ ალლარას ფეხზე დასცემენ. ხიზამბარელს მოიტაცებენ და ხელში გახარებული ათამაშებენ. ფარდა ნელნელა დაეშვება).

# ყოველი მხრიდან

## ოლიმპიური იდეა და მშვიდობის მარში

ამჟამად მთელ დასავლეთ ევროპაში მიმდინარეობს მშვიდობის მომხრეთა ტრადიციული საგაზაფხულო მარში, რომელშიც ბევრი სპორტსმენი და სპორტული მოღვაწე მონაწილეობს. ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დოქტორმა ე. ფრიდმა თავისი ქვეყნის სპორტსმენების სახელით შემდეგი მისალმება გაუგზავნა ავსტრიის მშვიდობის მარშის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს:

„გულით ვუჭერ მხარს ყველა მისწრაფებას, რომელიც ამოცანად ისახავს ახალი ომის საშიშროების აღმოფხვრას. ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სამყაროს ყველა ხალხს შორის მშვიდობის განმტკიცება და სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანების ყოველმხრივი ურთიერთგაგებაა. ასეთი მოღვაწეობა ემსახურება კეთილშობილურ მიზანს, რომ მთელი მსოფლიო მშვიდობისმოყვარე და ბედნიერი იყოს. სწორედ ამიტომ მივესალმები 1966 წლის მშვიდობის მომხრეთა მარშის ყველა მონაწილეს“.

იმაზე, თუ რა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა სპორტსმენებში ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მიმართვამ, ფაქტები მეტყველებენ: მარტო ვენის მარშში სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების 5.000 წევრმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო, საერთოდ, ავსტრიის მარშებში ამ ქვეყნის ათი ათასობით სპორტსმენი მონაწილეობს.

## ჩაფლავებული პროცესი

ამ დღეებში დიუსელდორფში დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომელიც აგერ ორ წელზე მეტია გადადებულია. სამართალში მიცემული იყო დასავლეთგერმანელი სპორტული მოღვაწე, გაზეთ „შპორტ-ტრიბიუნეს“ გამომცემელი ა. ბიტნერი.

დასავლეთგერმანელმა პროკურორმა ბიტნერს მთავარ „ბოროტმოქმედებად“ ჩაუთვალა კავშირი გდრ-ის სპორტსმენებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან.

ბრალდებულს ეს „დანაშაული“ არ აკმარეს ბიტნერი, „შპორტ-ტრიბიუნეში“ გამოქვეყნებული წერილებით პროპაგანდას უწევდა კომუნიზმსო, — თქვა პროკურორმა და დასტურად ციტატებიც მოიყვანა:

„სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ჰეგემონია. ქალთა ასპარეზობაში საუკეთესო ადგილებს, ალბათ, საბჭოთა კავშირის სპორტსმენი ქალები დაიკავებენ“.

„ამჟამად შეუძლებელია სსრ კავშირის დიდოსტატებს მოუგო. თუ საბჭოთა კავშირის გამარჯვება მოულოდნელი არ იყო, სამაგიეროდ, მარცხი ამერიკელებისა, რომლებმაც ორი წლის უკან ლაიპციგში II ადგილი დაიკავეს და ახლა მხოლოდ IV ადგილზე აღმოჩნდნენ, სენსაციაა“.

ასე და ამგვარად, საბჭოთა სპორტსმენების წარმატებათა ყოველი აღიარება იუსტიციის დასავლეთგერმანულმა ორგანოებმა ა. ბიტნერს „კომუნიზმის ქება-დიდებად“ და, საერთოდ, „უმძიმეს დანაშაულად“ ჩაუთვალეს. მაგრამ არაფერი გამოვიდა. გფრ-ის ათობით სპორტსმენმა გადაჭრით მოითხოვა ბიტნერის გათავისუფლება. პატრიოტი გაამართლეს.

პროცესის შემდეგ ა. ბიტნერმა პრინციპულად დააყენა საკითხი ბონის ხელისუფლების მიერ აკრძალული გაზეთის კვლავ გამოცემის თაობაზე და განაცხადა: „მე ვიბრძოდი და ვიბრძოლებ ოლიმპიური იდეალებისათვის. ბონელმა მოღვაწეებმა სწორედ ამიტომ დამსვეს საბრალდებულო სკამზე, მაგრამ გეგმები ჩაეფუშათ“.

## ბოქსერი ვილი და საქმოსნები

ინგლისურმა პრესამ გამოაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის საფეხბურთო ჰიმნს რამდენიმე კომპოზიტორი წერს. იგი პირველად აჟღერდება 11 ივლისს „უემბლის“ სტადიონზე. ორკესტრი მაშინ დაიწყებს დაკვრას, როცა ინგლისის დედოფალი ელისაბედი, რომელმაც ოჯახთან ერთად თანხმობა განაცხადა დაესწროს მსოფლიოს პირველობის გახსნას, მისთვის განკუთვნილ ლოჟაში გამოჩნდება.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა აკრძალა ჰიმნის გრამფირფიტების დამზადება და მისი გადაცემა რადიოთი. დამზადდება მხოლოდ რამდენიმე ათეული ფირფიტა, რომელთაც საორგანიზაციო კომიტეტი 11 ივლისს დაურიგებს ინგლისის სპორტულ კლუბებს. ჰიმნის შინაარსზე არაფერია ცნობილი, თუმცა გაზეთმა „პიპლმა“ დაბეჭდა, რომ ჰიმნი ხოტბას ასხამს ვილის და ინგლისს, როგორც ფეხბურთის სამშობლოს.

საორგანიზაციო კომიტეტის სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, წინასწარმეტყველებენ, რომ ჰიმნის ფირფიტები სადაცაა გამოჩნდება შავ ბაზარზე. უკვე იყიდება ბილეთები, უფრო სწორად, არა ბილეთები, არამედ ნახევარფინალური და ფინალური მატჩების დასასწრები აბონემენტებიდან ამოგლეჯილი ტალონები, [illegible] 100 გირვანქა სტერლინგს მიაღწია, თუ მხედველობაში [illegible], რომ „უემბლის“ სტადიონზე 9 თამაშზე დასასწრები საუკეთესო ადგილის აბონემენტი ოფიციალურად 25 გირვანქა სტერლინგი ღირს, ეს უზარმაზარი თანხაა (იგი მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი). თუკი ფინალში ინგლისი გავა, მაშინ ტალონის ფასი, ალბათ, 500 გირვანქა სტერლინგამდე აიწევს, — წერს „პიპლის“ კორესპონდენტი, რომელიც შავი ბაზრის საქმოსნებს დაუკავშირდა.

## „მეკარეთა დასაცავად“

ეს ლოზუნგი წამოაყენა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. როუზმა ინტერვიუში, რომელიც მან ინგლისურ გაზეთ „მეილი დეილს“ მისცა. ჟურნალისტმა როუზს სთხოვა ეთქვა, ხომ არ აპირებს ფიფა რამდენადმე შეცვალოს თამაშის არსებული საერთაშორისო წესები, რაც ინგლისისა და ევროპის საფეხბურთო კოდექსებს შუა მერყეობს.

ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფიფა ნამდვილად აპირებს წესების შეცვლას. ამ ცვლილებათა ძირითადი მიზანია, სახელდობრ, ის, რომ თავიდან აიცილონ მეკარეთა ტრავმები, რაც ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით გახშირდა საერთაშორისო მატჩებსა და ცალკეული ქვეყნების ჩემპიონატებში. ფიფა დღემდე მტკიცედ უარყოფდა ყველა წინადადებას, რომელიც „ფეხბურთის თამაშის მკვეთრი ინგლისური სტილის წინააღმდეგ ბრძოლას“ ისახავდა მიზნად, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციათა წარმომადგენლების დაჟინებული მოთხოვნით გადაწყვიტა შეცვალოს თავისი პოზიცია.

როუზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფიფა-ს მომავალ სესიაზე მსაჯების სპეციალური კომისია წამოაყენებს წინადადებებს თამაშის წესების შეცვლის შესახებ. ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ რაკი აღნიშნული საკითხის კარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, იგი უთუოდ დიდ დისკუსიას გამოიწვევს. მაგალითად, ცნობილმა სპეციალისტმა, ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ განაცხადა:

„ჩვენ, ინგლისელებს, გვიყვარს ნამდვილი მამაკაცური ფეხბურთი — სასტიკი და მძაფრი სპორტი. ვისაც ასეთი ფეხბურთი არ მოსწონს, შეუძლია ჩოგბურთის კორტს ან ბილიარდის დარბაზს მიაშუროს. ჩვენ სხვადასხვა ქვეყანაში საფეხბურთო მატჩების უნივერსალური წესების წინააღმდეგ გამოვდივართ. ჩვენი წესები ბევრ რამეში არ შეესაბამება ევროპის ქვეყნებისას. ჩვენში არსებობს მეკარეზე თავდასხმის დიდი თავისუფლება, ნებადართულია ყოველგვარი ძალისმიერი ილეთები საჯარიმო მოედანზეც კი, და, საერთოდ, ჩვენ სულაც არ გვინდა უარი ვთქვათ ინგლისურ წესებზე“.

როგორც ჩანს, ამ კამათის გადასაწყვეტად თვით მეკარეთა აზრიც იქნება საჭირო. ამ უკანასკნელთა პასუხი კი უკვე ცნობილია: „არავითარი უხეშობა!“

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



სურათზე: ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი პელე და მისი მეუღლე როზმარი (მარცხნივ) თავიანთ გერმანელ მეგობართან ფრანკფურტის აეროვაგზალში რიო-დე-ჟანეიროდან ჩამოფრენის შემდეგ. ახალდაქორწინებულებმა თაფლობის თვის ნაწილი ამ მეგობრის სოფელში (ბავარიაში) გაატარეს.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

## 4:1

### საბჭოთა ნაკრების გამარჯვება

ინსბრუკი, 30 აპრილი. ავსტრიული ტურნეს ბოლო მატჩი გამართეს სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა. გუშინ ისინი აქ შეხვდნენ ადგილობრივ „ვაკერ-ინსბრუკს“, რომელიც გაძლიერებული იყო ამ ქვეყნის ნაკრების მოთამაშეებით (მეკარე ფრაიდლი, მცველი ლუდეშერი, აგრეთვე, რამდენიმე კანდიდატი). პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა.

57-ე წუთზე საბჭოთა ნაკრების მცველთა შეცდომის შედეგად მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს — 1:0. მაგრამ 1 წუთის შემდეგ ბანიშევსკიმ გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

შემდგომში, 66-ე, 75-ე და 87-ე წუთებზე მალაფეევმა, საბომ და ვორონინმა თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს — 4:1.

საბჭოთა ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ბანიკოვი, გეტმანოვი, შესტერნიოვი, აფონინი, დანილოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, პონედელნიკი (კოპაევი), ბანიშევსკი, ჩისლენკო (მალაფეევი).

დღეს საბჭოთა ნაკრები სამშობლოში გაემგზავრა.

## ნაკრებთა სნაიპერები

ინგლისელმა ფეხბურთის სტატისტიკოსმა რ. მაკდონალდმა შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით შეადგინა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნაკრები გუნდების საუკეთესო ბომბარდირთა სია:

პელე (ბრაზილია) — 9 ბურთი, ბანიშევსკი (სსრ კავშირი), ეუსებიო (პორტუგალია)—7-7, მაცოლა (იტალია), ლ. სანჩესი (ჩილი), კოტკოვი, ასპარუხოვი (ორივენი — ბულგარეთი) —6-6, დიასი (მექსიკა), დებარსკი (ბულგარეთი) — 5-5, ონევა, არტიმე (ორივენი — არგენტინა), ზილოფი (გფრ), გალიჩი (იუგოსლავია), მეტრეველი (სსრ კავშირი), ბარისონი (იტალია), პან ბონ დინი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) — 4-4.

## გუშინ...

### რ. ჩარლტონი — საუკეთესო

### „ლივერპული“ უკვე ჩემპიონია

ლონდონი. ინგლისის სპორტულმა ჟურნალისტებმა თავიანთი ქვეყნის 1966 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი რ. ჩარლტონი. II ადგილზეა ჯ. კოენი („ფულჰემისა“ და ეროვნული ნაკრების მცველი), ხოლო III — ჯ. ბესტი („მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მარჯვენა გარემარბი).

ლივერპული. ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა თავის მოედანზე მიიღო ლონდონის „ჩელსი“ და დაამარცხა იგი — 2:1 (გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ჰანტმა). ამ გამარჯვებით „ლივერპულმა“ გათამაშების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე უკვე მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის წოდება.

(საკ. ინფ.).

## ბაროტის მკაცრი სანქციები

ბუდაპეშტში გამოცხადდა, რომ უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ გუნდიდან გამოიყვანა ცნობილი თავდამსხმელი ტიხი, რომელსაც არც მანამდე უყურებდა კარგი თვალით. ტიხის დასჯის მიზეზი დისციპლინის დარღვევაა. მანამდე ამავე მიზეზით დაატოვებინეს ნაკრები მის ყოფილ კაპიტანს შიპოშს.

ბაროტიმ განაცხადა, რომ ნაკრებიდან გამოყვანილი არიან აგრეთვე მცველი იხასი და თავდამსხმელი ლ. პუშკაში, რომლებმაც ცუდად ითამაშეს ბოლო კალენდარულ მატჩებში. მათ ნაცვლად ნაკრების რიგებში კვლავ მოუხმეს ნახევარმცველ ი. მატესს და „ჰონვედის“ თავდამსხმელს ა. ნადს.

## იყიდება „ვარსკვლავი“

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ კაპიტანმა, 25 წლის ბ. მურმა მოისურვა თავისი კლუბის დატოვება. მართალია, იგი კვლავ თამაშობს „ვესტ ჰემში“, კაპიტანი უკვე სხვაა — ჯ. ბერნი. მურის მყიდველმა კლუბმა „ვესტ ჰემს“ უნდა გადაუხადოს 100 ათასი გირვანქა სტერლინგი. ასეთი კლუბი ჯერ არ ჩანს, თუმცა, როგორც ეტყობა, ამ შესანიშნავი ნახევარმცველის ყიდვა განზრახული აქვთ „ევერტონს“, „ტოტენჰემ ჰოტსპურს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „სანდერლენდს“.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირი ბრიტანელი ფეხბურთელი შოტლანდიელი დ. ლოუ გახლავთ. 1962 წელს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლოუს შეძენა 116 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

(საკ. ინფ.).



## ქალაქი ქვეყანა

● ბუდაპეშტი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ბუდაპეშტისა და ბუქარესტის ნაკრებ გუნდებს შორის (ისინი, ფაქტიურად, უნგრეთისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს წარმოადგენდნენ). მასპინძლებმა მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება — 3:0. 2 ბურთი გაიტანა ალბერტმა, 1— ფარკაშმა.

## გიგანტური სტადიონების რეკორდები

*ბრაზილიელები მხოლოდ ფეხბურთში როდი არიან ჩემპიონები: ამ ქვეყანას ეკუთვნის მატჩებზე მაყურებელთა დასწრების მსოფლიო რეკორდიც. 1950 წელს რიო-დე-ჟანეიროში, „მარაკანას“ ცნობილ სტადიონზე, ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩისას მსოფლიო ჩემპიონობაზე გიგანტი სტადიონის ტრიბუნებზე იჯდა 212.500 მაყურებელი.*

*6 წლის შემდეგ ამავე სტადიონზე „ნაჩვენები“ იქნა მსოფლიოს მეორე შედეგი: 205.000 კაცი ადევნებდა თვალს ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდების ბრძოლას.*

*რაც შეეხება ევროპის რეკორდს, იგი გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ სტადიონს ეკუთვნის. 1937 წელს აქ ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდების მატჩზე თავი მოიყარა 149.574 კაცმა. იმავე წელს დამყარებულ იქნა საკლუბო გუნდების შეხვედრის რეკორდიც: 146.433 მაყურებელი ჰყავდა „სელტიკის“ შეხვედრას „აბერდინთან“.*

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.